



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 6 23 0001372076



13/10/2023

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, ცენტრის მიერ დაწესებულებისგან შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების დამატებითი საჭიროება, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე საბჭო წევრებს მონიტორინგის თაობაზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილ №59907 (24/01/2022) და №814650 (04/07/2023) საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ცენტრმა 2023 წლის 10 ივლისის N857693 წერილით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებას. აღნიშნულის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2023 წლის 12 ივლისის N873309 და 07 აგვისტოს N970936 წერილებით ცენტრში წარმოადგინა პოზიცია განსახილველ საჩივართან მიმართებით;

2.2. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 29 სექტემბერს. საბჭომ შეისწავლა წარმოდგენილი საჩივარი და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისათვის წარმოდგენილი პოზიცია.


3. სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 13 ოქტომბრის № 1370881 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

